საქმე N030210020004053598
№2/839-20

7428914549650
www.ecd.court.ge

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

17 თებერვალი, 2022 წელი ქ. ფოთი

შესავალი ნაწილი

ფოთის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე - გიორგი თუნაური
სხდომის მდივანი - ალიკა ქებურია/თამარ ქირია

მოსარჩელე - სს ,,ს----------ი“
წარმომადგენელი - ქ----------ი, ა----------ა

მოპასუხე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
წარმომადგენელი - დ----------ა

დავის საგანი - თანხის დაკისრება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. მოპასუხე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის სს ,,ს----------ი“-ს სასარგებლოდ დაეკისროს 2430 ლარის გადახდა.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: სს ,,ს----------სა“ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2017 წლის 19 ოქტომბერს გაფორმდა სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის ხელშეკრულება N1634404. სადაზღვევო პერიოდად ხელშეკრულების მეხუთე მუხლის თანახმად განისაზღვრა 2017 წლის 19 ოქტომბრის 24 საათიდან 2018 წლის 19 ოქტომბრის 24 საათამდე პერიოდი. ხოლო თუ მხარეები არ გამოხატავდნნენ ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს იგი ავტომატურად გრძელდებოდა იმავე ვადით და იმავე პირობებით.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხეს განესაზღვრა ვალდებულება პერიოდულობით გადაეხადა სადაზღვევო პრემიის თანხა, რომელიც ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მიხედვით, გადახდილ უნდა იქნეს სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ყოველთვიურად, ყოველი თვის საანგარიშო თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა.

მოპასუხემ სრულად არ შეასრულა ვალდებულება პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემიის გადახდის კუთხით და მისი დავალიანება შეადგენს 2430 ლარს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე მხარისგან 2018 წლის 14 დეკემბერს გაეგზავნა წერილი და ეცნობა მიმდინარე დავალიანების შესახებ. მიუხედავად წერილობითი შეტყობინებისა მოპასუხე მხარეს დღემდე არ შეუსრულებია თანხის გადახდის ვალდებულება.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა წარმოდგენილი შესაგებლითა და სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით სარჩელი არ ცნო.

მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, სს ,,ს----------სა“ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს შორის 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტიდან ტრანზაქციები ხორციელდებოდა შემდეგი გადამხდელი ორგანიზაციებიდან: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და შპს ,,მობინადრე 2000“, ხელშეკრულებაში მითითებული დანართის შესაბამისად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხა შეადგენდა 15 540 ლარს, საიდანაც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის გადახდილი თანხა შეადგენს 11 490 ლარს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულის გადახდილი თანხა შეადგენს 2430 ლარს, ხოლო შპს ,,მობინადრე 2000“ გადახდილი თანხა - 225 ლარს.

წარმოდგენილი საგადახდო დავალაბების მიხედვით აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ჯამში გადახდილი იქნა 14 145 ლარი.

რაც შეეხება, შპს ,,მობინადრე 2000“-ის დასაქმებული პირების დაზღვევას, შპს ,,მობინადრე 2000“ არ არის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საიდენტიფიკაციო კოდს ქვემოთ გაერთიანებული გადამხდელი ორგანიზაციას, შესაბამისად კავშირი მათ საბანკო ტრანზაქციებთან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსის გუკა გუჯაბიძის 2020 წლის 10 ნოემბრის N08-42031582 სამსახურებრივი ბარათით დადგენილია, რომ დღეის

მდგომარეობით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას არ გააჩნია არანაირი დავალიანება.

შესაბამისად მოპასუხე თვლის, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.
სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ვინაიდან ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას ინტერესი აღარ გააჩნდა მითითებული სადაზღვევო ხელშეკრულების მიმართ, ხელშეკრულება შეწყდა და შესაბამისად თანხის გადახდის ვალდებულებაც აღარ არსებობს.

3. ფაქტობრივი გარემოებები
3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2017 წლის 19 ოქტომბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს ,,ს----------ს''-ს შორის დაიდო სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულება. სადაზღვევო პერიოდად ხელშეკრულების მეხუთე მუხლის თანახმად განისაზღვრა 2017 წლის 19 ოქტომბრის 24 საათიდან 2018 წლის 19 ოქტომბრის 24 საათამდე პერიოდი.

ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად განისაზღვრა მზღვეველის ვალდებულება დამზღვევის მიერ მიწოდებული დაზღვეულ პირთა სიის შესაბამისად, კერძოდ განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. გადასცეს დამზღვევს ბარათები თითოეული დაზღვეულისათვის.

ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად განისაზღვრა დამზღვევის ვალდებულება, კერძოდ დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს პრემიის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში. შეატყობინოს მზღვეველს ცვლილებები დაზღვეულ პირთა სიაში წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად.

მხარეთა შეთანხმებით დამზღვევის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის ოდენობა დგინდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N2-ის მიხედვით და მხარეთა შორის დასტურდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის თანახმად, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს ელექტრონულად გაცვლილი, განახლებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიხედვით. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ყოველთვიურად ყოველი საანგარიშო თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა. (ხელშეკრულების 4.2. პუნქტი)

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულება (ს.ფ. 19-27);
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.2. სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულების 4.6. პუქნტის თანახმად წლიური პრემიის ოდენობის ცვლილება ხორციელდება დამზღვევის მიერ საანგარიშო რიცხვში დაზღვეულთა სიაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ხოლო თუ კი დამზღვევი მოითხოვს დაზღვევის ამოქმედებას ცვლილების შეტანისთანავე მაშინ ანგარიშსწორების (პრემიის გადახდა) არასრული თვე ჩაითვლება სრულად.

2017 წლის 19 ოქტომბრის სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულების გათვალისწინებულ დაზღვეულ პირთა სიების შესაბამისად სადაზღვევო ბარათების მოპასუხისათვის მიწოდება მოსარჩელის მიერ განხორციელებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულების შესაბამისად, ფოთის მუნიციპალიტეტის მერია პერიოდულად აწვდიდა სს ,,ს----------ს''-ს დაზღვეულთა დამატებით სიებს, რის შედეგადაც ეს პირები იღებდნენ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას შეუფერხებლად, კერძოდ ნოემბრის თვეში დაზღვეულთა სიას დაემატა სამი პირი ხ----------ა, ნ----------ა და ნ----------ე, ხოლო ამ უკანასკნელის დაზღვევა გაუქმდა დეკემბრის თვეში.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულება (ს.ფ. 19-27);
- ელექტრონული მიმოწერა (ს.ფ. 236-238)
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.3. სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულ პირთა დაზღვევით უზრუნველყოფისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში მოსარჩელის მიერ შესრულებულია ჯეროვნად. მხარეთა შორის სს ,,ს----------ი''-ს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი სადავო არ არის.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.4. დადგენილია, რომ მოპასუხეს 2018 წლის 14 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო კოდექს 817-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაეგზავნა წერილი სადაზღვევო პოლისში მითითებულ მისამართზე, რომლითაც მას ეცნობა მიმდინარე დავალიანების შესახებ და განესაზღვრა გადახდისათვის - 10 დღიანი ვადა. ამასთან, განემარტა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სს ,,ს----------ის“ მიერ განხორციელებადი ქმედებების შესახებ. დადგენილია, რომ გზავნილი ადრესატს ჩაბარდა - 2018 წლის 19 დეკემბერს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2018 წლის 14 დეკემბრის წერილი, ჩაბარების დასტური (ს.ფ. 63-64)
- ცნობა დავალიანების შესახებ (ს.ფ. 65)
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.5. დადგენილია, რომ მოპასუხეს წერილობითი ფორმით შეტყობინება მოსარჩელისათვის დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ არ გაუგზავნია.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტება;

3.1.6. 2017 წლის 19 ოქტომბრის სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის ჯამში გადახდილია 14145 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- საგადახდო მოთხოვნები (ს.ფ. 85-201);

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. 2017 წლის 19 ოქტომბრის სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულების შესაბამისად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის დავალიანებული პრემიის ჯამური ოდენობა შეადგენს 2430 ლარს.

სასამართლო განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს

საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რა კონკრეტულ გარემოებებს დაემყარება მათი შესაგებელი.

მხარეთა შეთანხმებით დამზღვევის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიის ოდენობა დგინდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართ N2-ის მიხედვით და მხარეთა შორის დასტურდება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის თანახმად, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს ელექტრონულად გაცვლილი, განახლებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიხედვით. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ყოველთვიურად ყოველი საანგარიშო თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა. (ხელშეკრულების 4.2. პუნქტი)

ხელშეკრულების 4.6. პუქნტის თანახმად წლიური პრემიის ოდენობის ცვლილება ხორციელდება დამზღვევის მიერ საანგარიშო რიცხვში დაზღვეულთა სიაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ხოლო თუ კი დამზღვევი მოითხოვს დაზღვევის ამოქმედებას ცვლილების შეტანისთანავე მაშინ ანგარიშსწორების (პრემიის გადახდა) არასრული თვე ჩაითვლება სრულად.

სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულების შესაბამისად, ფოთის მუნიციპალიტეტის მერია პერიოდულად აწვდიდა სს ,,ს----------ს''-ს დაზღვეულთა დამატებით სიებს, რის შედეგადაც ეს პირები იღებდნენ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას შეუფერხებლად, კერძოდ ნოემბრის თვეში დაზღვეულთა სიას დაემატა სამი პირი ხ----------ა, ნ----------ა და ნ----------ე, ხოლო ამ უკანასკნელის დაზღვევა გაუქმდა დეკემბრის თვეში.

ამდენად, 2017 წლის ნოემბრის თვეში სს ,,ს----------სა“ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის დადებული შეთანხმებით, ცვლილება განხორციელდა დაზღვევის ხელშეკრულებაში დაზღვეულ პირთა მონაცემებში, შესაბამისად შეიცვალა სადაზღვევო პრემიის ოდენობა. კერძოდ, ცვლილებების გათვალისწინებით დამზღვევების მიერ მზღვეველთათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემია 2017 წლის ნოემბრის თვეში შეადგენს 1430 ლარს, ხოლო დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე ყოველთვიური სადაზღვევო პრემია შეადგენდა 1385 ლარს.

შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად სადაზღვევო პრემიის (შესატანის) ოდენობა შეადგენდა ჯამში 16 665 ლარს, ნაცვლად მოპასუხის მიერ მითითებული 15540 ლარისა.

სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო

მოვალეობებს, რომელთა შეუსრულებლობა იწვევს, ამავე მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო მე-4 მუხლით, რომლითაც მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განსაზღვრონ ფაქტები თავიანთი მოთხოვნებისა თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ე.ი. მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განხორციელდეს.

მოპასუხეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს მისცემდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დაზღვევის სიების სარწმუნოობაში ეჭვის შეტანის საფუძველს. (იხ. ს.ფ. 210-235);
სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მოპასუხემ მოსარჩელეს სრულად არ გადაუხადა სადაზღვევო პრემიის თანხა. მოპასუხისათვის 2430 ლარის დაკისრების მოთხოვნა საფუძვლიანია. საწინააღმდეგო გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ არსებობს.

3.2.2. სასამართლო განმარტავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარეებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს და რა კონკრეტულ გარემოებებს დაემყარება მათი შესაგებელი.

2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვითთ, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ. -ის კანონი N5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე

მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი შესაგებელი (პასუხი) არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს (სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილები: „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები“) . სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურ სამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს.

მოპასუხე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია არ შედავებია მოსარჩელის მიერ მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებას, მაგალითად, იმას, რომ სადავო პერიოდში დაზღვეულ პირთა რაოდენობა არ შეესაბამება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ სიებს და ყოველთვიური გადასახდელი პრემიის ოდენობა 11 თვის განმავლობაში არ შეადგენდა 1385 ლარს, ხოლო ნოემბრის თვეში 1430 ლარს.

მოპასუხის შედავება შემოიფარგლა ძირითადად იმაზე მითითებით, რომ სარჩელი უსაფუძვლოა, რაც ზოგადი ხასიათის შედავებაა.

ამრიგად, მოსარჩელის მიერ მითითებული და მოპასუხის მიერ არაკვალიფიციურად

შედავებული გარემოებები სამართლებრივად ქმნიან იმის პრეზუმფციას, რომ მოსარჩელის მიმართ დარღვეული იქნა თანხის გადახდის ვალდებულება. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაგებელი კი ამ ფაქტებს ვერ აბათილებს.

3.2.3. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მოპასუხის მხრიდან წერილობითი შეტყობინების ფაქტი არ არის დადასტურებული, შესაბამისად მოპასუხეს მოსარჩელისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ არ უცნობებია.

განსახილველ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლაზე უთითებს მოპასუხე მხარე და ხელშეკრულებიდან გასვლის თარიღს უკავშირებს სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4.1 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

სარჩელის შემოტანამდე, 2020 წლის 26 ოქტომბრამდე ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ფაქტი, გარდა ზეპირი ახსნა-განმარტებისა მოპასუხემ ვერ დაადასტურა. მოპასუხე აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად შემოიფარგლა სასამართლო სხდომაზე გაკეთებული ახსნა-განმარტებით. აღნიშნულის საპირისპიროდ კი, საქმეში წარმოდგენილია დაზღვევის პირობები, რომლის თანახმად დამზღვევი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სასამართლომ განიხილა სს ,,ს----------ის“ სარჩელი, შეისწავლა საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სრულად შეესაბამება მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს, ამდენად სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 103-ე, 105-ე მუხლები;
სამოქალაქო კოდექსის 327-ე, 361-ე, 400-ე, 799-ე მუხლები;

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. სარჩელში მითითებული პრეტენზიებიდან სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მხოლოდ იმ პრეტენზიებზე, რომლებიც მოცემული დავის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად. **(იხ. ჯ-ა საქართველოს წინააღმდეგ, # 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81); Boldea v. Romania, par. 30).**

6.2. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება, ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, **დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია).** ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მხარეები უნდა შეთანხმდნენ დაზღვევის ინტერესსა და საგნის შესახებ, ზუსტად უნდა განისაზღვროს სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო შენატანის (პრემიის) გადახდის წესი და პირობები.

ზემოაღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დაზღვევის

ხელშეკრულება განეკუთვნება ე.წ. რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას. მხარეთა უფლება–მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე სადაზღვევო შენატანის გადახდის შემდეგ. ამდენად, დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყება დაკავშირებულია არა მარტო დაზღვევის ხელშეკრულების დადებასთან, არამედ - სადაზღვევო პრემიის გადახდასთანაც. ის გარემოება, რომ მზღვეველის მოვალეობა წარმოიშობა არა მხარეთა შეთანხმების, არამედ პრემიის გადახდის მომენტიდან, დაზღვევის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს და აქცევს მას რეალურ ხელშეკრულებად (სსკ 816–ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულად ითვლება, თუ: ა)შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ)შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც, იგი არ ასრულებს ვალდებულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხემ სრულად არ შეასრულა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული ვალდებულება სადაზღვევო პრემიის გადახდის კუთხით. კერძოდ, მის მიერ სადაზღვევო პრემია გადახდილია მხოლოდ ნაწილობრივ - **14 145 ლარის ოდენობით.**

სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ 2017 წლის 19 ოქტომბრის სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულების შესაბამისად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის დავალიანებული პრემიის ჯამური ოდენობა შეადგენს 2430 ლარს.

იმისათვის, რომ დადგინდეს რა წესით უნდა მომხდარიყო მხარეთა შორის არსებული დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტა, **სასამართლომ სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს დაზღვევის ხელშეკრულების 6.1. და 6.2. პუნქტებს.**

ხელშეკრულების **6.1 პუნქტის თანახმად** დადგენილია, რომ წინამდებარე ხელშეკრულება (საერთო სადაზღვევო პერიოდი) წყდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის 24 საათზე, ხოლო ინდივიდუალური დაზღვევისა კი - ბარათით განსაზღვრული ვადის ბოლო 24 საათზე, თუ იგი ვადაზე ადრე არ იქნა შეწყვეტილი მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

ხელშეკრულების 6.2 პუნქტის თანახმად კი დადგენილია, რომ წინამდებარე

ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სს ,,ს----------სა“ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეული იყო მესამე პირის პასუხისმგებლობა, კერძოდ, ბენეფიციარს კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხე მხარის განმარტებას მასზედ, რომ მის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობა ავტომატურად გულისხმობდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას, ვინაიდან ხელშეკრულების 4.3. პუნქტი **მზღვეველს ანიჭებდა უფლებას შეეჩერებინა ხელშეკრულების მოქმედება და არ განეხორციელებინა სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურება,** თუმცა ამ პუნქტში საუბარია **უფლებამოსილებაზე** და **არა ვალდებულებაზე** და იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების მოთხოვნით სადავო პერიოდში სადაზღვევო კომპანიისასთვის არ მიუმართავს, სასამართლო მოკლებულია შესაძლებელობას იმსჯელოს თუ როგორც გამოიყენებდა მოსარჩელე ხელშეკრულებით მინიჭებულ **უფლებამოსილებას.**

რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტას, აღნიშნულ საკითხს არეგულირებს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების **6.2 პუნქტი**, რომელის შესაბამისადაც **დამზღვევი ნებისმიერ <u>დროს უფლებამოსილია გააუქმოს წინამდებარე დაზღვევა, მზღვეველისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.</u>** საქმეზე უდავოდ დადგენილია, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება მოპასუხეს მოსარჩელისათვის **არ გაუგზავნია, შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება მოსარჩელესათვის ვერ იქნება მიჩნეული შეწყვეტილად,** მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ხელშეკრულება დადებული იყო მესამე პირის სასარგებლოდ და ცალმხრივად თუნდაც სადაზღვევო კომპანიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოიწვევდა მათი უფლებების დარღვევას. **ამდენად, სასამართლო მიიჩნევს სახეზეა სარჩელის სრულად დაკმაყოფილებისა და გადაუხდელი სადაზღვევო პრემიის მოპასუხისათვის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.**

6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის თანახმად, თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი.

სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არგუმენტს მისი მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და მიუთითებს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოსავალ პრინციპს მხარეთა მიერ გამოვლენილი

ნების მიღწევა წარმოადგენს, სამოქალაქო კოდექსი ორიენტირებულია პირველადი მოთხოვნის - ვალდებულების შესრულების მიღწევაზე, რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლასა თუ ხელშეკრულებიდან გასვლას, აღნიშნულიც თავისთავად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული და კანონმდებელი ამომწურავად განსაზღვრავს თითოეულ ამ ინსტიტუტს.

სადაზღვევო პრემიის შეტანის მარეგულირებელი ნორმები, მათ შორის 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმებს და ცალსახად არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას. კანონმდებელი 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა მზღვეველის მიერ აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა მისი, როგორც ხელშეკრულების მხარის არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს, შესაბამისად მას უფლება აქვს მოითხოვოს პრემიის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის დათქმა - თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება, არ შეიძლება განმარტებულ იქნას ამავე მუხლის მე-2 ნაწილისაგან განყენებულად, რადგან ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილია მზღვეველის მიერ შეტყობინების უფლების გამოუყენებლობისათვის ერთგვარი სამოქალაქო სამართლებრივი სანქცია, კერძოდ ის, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა მას წარმოუშობს სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია წერილობით გააფრთხილებს დამზღვევს პრემიის გადახდის თაობაზე და ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა, ამ ვადის გასვლამდე მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი შემთხვევა, მიუხედავად იმისა, დამზღვევს გადაცილებული აქვს თუ არა პრემიის შეტანის ვადა.

რაც შეეხება ამავე სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის დათქმას, პრემიის შეტანის ვადის გადაცილების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნულიც სწორედ უფლებადამდგენი ნორმაა და იგი არ შეიძლება აყვანილ იქნას ვალდებულების რანგში.
სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე №ას-1708-1602-2012-ზე სადაც აღნიშნულია, რომ კანონის ამგვარი განმარტება სახელშეკრულებო თანასწორობის ბალანსის დარღვევას არ იწვევს, რადგან დაზღვევის ურთიერთობის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები ითვალისწინებს იმ კერძო (სპეციალურ) შემთხვევებს, როდესაც დამზღვევს უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე (სკ 815.2; 819). ამასთანავე, საყურადღებოა, რომ თუ სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მხარეები რაიმე განსხვავებულ წესს

არ დაადგენენ, ამ ურთიერთობის მიმართ, თავისუფლად ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც მხარის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას განამტკიცებენ (მაგ. სკ 399-ე მუხლი).

სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისკენ მიმართული ერთ-ერთი მხარის ნამდვილი, ცალმხრივი ნების (ხელშეკრულებიდან გასვლა) არსებობა არ არის დადგენილი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სადაზღვევო ურთიერთობა არ შეწყვეტილა.

ამასთან, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოპასუხის პოზიციას იმის თაობაზე, რომ დარჩენილი დავალიანების გადახდაზე პასუხისმგებელი პირს არ წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, რადგან სს ,,ს----------სა“ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს შორის 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტიდან ტრანზაქციები ხორციელდებოდა შემდეგი გადამხდელი ორგანიზაციებიდან: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და შპს ,,მობინადრე 2000“, ხელშეკრულებაში მითითებული დანართის შესაბამისად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხა შეადგენდა 15 540 ლარს, საიდანაც ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის გადახდილი თანხა შეადგენს 11 490 ლარს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადახდილი თანხა შეადგენს 2430 ლარს, ხოლო შპს ,,მობინადრე 2000“ გადახდილი თანხა - 225 ლარს. წარმოდგენილი საგადახდო დავალაბების მიხედვით აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ჯამში გადახდილი იქნა 14 145 ლარი. რაც შეეხება, შპს ,,მობინადრე 2000“-ის დასაქმებული პირების დაზღვევას, შპს ,,მობინადრე 2000“ არ არის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საიდენტიფიკაციო კოდს ქვემოთ გაერთიანებული გადამხდელი ორგანიზაციას, შესაბამისად კავშირი მათ საბანკო ტრანზაქციებთან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 19 ოქტომბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სს ,,ს----------ს''-ს შორის დაიდო სამედიცინო (ჯანმრთელობის) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ N1634404 ხელშეკრულება. სადაზღვევო პერიოდად ხელშეკრულების მეხუთე მუხლის თანახმად განისაზღვრა 2017 წლის 19 ოქტომბრის 24 საათიდან 2018 წლის 19 ოქტომბრის 24 საათამდე პერიოდი. ხელშეკრულების 3.1. პუნქტის თანახმად განისაზღვრა მზღვეველის ვალდებულება დამზღვევის მიერ

მიწოდებული დაზღვეულ პირთა სიის შესაბამისად, კერძოდ განახორციელოს დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. გადასცეს დამზღვევს ბარათები თითოეული დაზღვეულისათვის. ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად განისაზღვრა დამზღვევის ვალდებულება, კერძოდ დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს პრემიის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში. შეატყობინოს მზღვეველს ცვლილებები დაზღვეულ პირთა სიაში წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად.

სასამართლო მიუთითებს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა. ამასთან, დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, ხოლო ის, თუ რა შეიძლება იყოს დაზღვევის ობიექტი, მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 820-858-ე მუხლებში. სამოქალაქო კოდექსი დაზღვევის კლასიფიკაციას დაზღვევის ობიექტის მიხედვით ადგენს. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისგანაა გამიჯნული ზიანის დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა და უბედური შემთხვევის დაზღვევა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2017 წლის ნოემბრის თვეში სს ,,ს----------სა“ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის დადებული შეთანხმებით, ცვლილება განხორციელდა დაზღვევის ხელშეკრულებაში დაზღვეულ პირთა მონაცემებში, შესაბამისად შეიცვალა სადაზღვევო პრემიის ოდენობა. კერძოდ, ცვლილებების გათვალისწინებით დამზღვევების მიერ მზღვეველთათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემია 2017 წლის ნოემბრის თვეში შეადგენს 1430 ლარს, ხოლო დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე ყოველთვიური სადაზღვევო პრემია შეადგენდა 1385 ლარს.

შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად სადაზღვევო პრემიის (შესატანის) ოდენობა შეადგენდა ჯამში 16 665 ლარს, ნაცვლად მოპასუხის მიერ მითითებული 15540 ლარისა. თუმცა აღნიშნული მოპასუხის მიერ განხორციელდა მხოლოდ ნაწილობრივ. კერძოდ, 2017 წლის 19 ოქტომბრის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით მოპასუხის მიერ მოსარჩელისთვის ჯამში გადახდილია მხოლოდ 14145 ლარი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მის მიერ შესასრულებელი ვალდებულება შეადგენდა 15540 ლარს. აღნიშნულიდან და საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებებიდან გამომდინარე დადგენილია, რომ 2017 წლის 19 ოქტომბრის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ ერიცხება დავალიანება 2520 ლარის (16665-14145) ოდენობით, თუმცა მოსარჩელეს მოთხოვნა განსაზღვრული აქვს 2430 ლარის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ჯეროვანი შესრულება შეიცავს რამდენიმე მოთხოვნის დაცვის აუცილებლობას, რომლებიც განსაზღვრავენ, ვინ ვის წინაშე უნდა განახორციელოს შესრულება, რომელი საგნით, სად, როდის და რა გზით უნდა განხორციელდეს იგი. ბრუნვის მონაწილის ვალდებულება, ჯეროვნად შეასრულოს ვალდებულება, ემყარება იმ სინამდვილეს, რომელიც მისთვის ცნობილია და მას ამ სინამდვილისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ევალება. კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების საერთო მიმართულებას.

ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა სარჩელის დაკმაყოფილების როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად მოპასუხე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის სს ,,ს----------ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2430 ლარის გადახდა.

7. საპროცესო ხარჯები

7.1. მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 73 ლარის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული,

ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, ამ კოდექსის 38-ე მუხლის „ა", „ბ", „გ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დავის საგნის ღირებულების 3%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა, გარდა ამავე კოდექსის 1873 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ამავე მუხლის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ოდენობის ნახევარს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის ,,ა" პუნქტის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 5000 ლარს.

აღნიშნულის შესაბამისად, სარჩელის ფასის გათვალისწინებით (2430 ლარი), განსახილველ დავაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

როგორც უკვე აღინიშნა მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისას გადახდილი იქნა სახელმწიფო ბაჟი 73 ლარის ოდენობით. ამდენად, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს 23 ლარი, როგორც შეცდომით გადახდილი თანხა.

მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მოპასუხე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე სს ,,ს----------ი"-ს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 50 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები

8.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 37-ე, 49-ე, 53-ე, 243-ე-244-ე, 248-ე-249-ე, 257-ე, 259[1]-ე, 263-ე-364-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სს ,,ს----------ი"-ს სარჩელი მოპასუხე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე სს ,,ს----------ი“-ს სასარგებლოდ დაეკისროს 2430 ლარის გადახდა.

3. მოპასუხე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე სს ,,ს----------ი“-ს სასარგებლოდ დაეკისროს 50 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ სარჩელზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.

4. მოსარჩელე სს ,,ს----------ი“-ს დაუბრუნდეს 23 ლარი სარჩელზე 2020 წლის 26 ოქტომბერს (საგადახდო დავალება #438873580) სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი - 73 ლარიდან, რომელიც ჩაირიცხა სახელმწიფო ხაზინის შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით: ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი 300 423 150;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით ფოთის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

6. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ფოთის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე **გიორგი თუნაური**